ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2257197

ნომერი: AR1347555

თარიღი : 07.10.2015

გაცემის თარიღი : 23.10.2015

გაცნობის თარიღი : 23.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კახეთის გზატკეცილზე , მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლეილა იმერლიშვილი პ/ნ 01017008469
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 3

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

შენობა (5/1)–ის ფასადზე და შენობა (14/1)– ის მიმდებარედ (არსებული ლითონის კონსტრუქციის გამოყენებით) სარეკლამო აბრების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის

დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტისარქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი –სამგორი, კახეთის გზატკეცილზე , მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, შპს „მშვიდობა“– ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.001/005) შენობა (5/1)–ის ფასადზე და შენობა (14/1)– ის მიმდებარედ (არსებული ლითონის კონსტრუქციის გამოყენებით) სარეკლამო აბრების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას .

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებსქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

.საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ. ლეილა იმერლიშვილის განცხადება/ თანაგანმცხადებელი სერგო ოთიაშვილი /, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015548594 საკადასტრო კოდი N 01.19.13.001.005 სიტუაციური გეგმა და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი –სამგორი, კახეთის გზატკეცილზე , მრეწველობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მიმდებარედ, შპს „მშვიდობა“– ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.001/005) შენობა (5/1)–ის ფასადზე და შენობა (14/1)– ის მიმდებარედ (არსებული ლითონის კონსტრუქციის გამოყენებით) სარეკლამო აბრების მოწყობის I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ:

–სამონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით და უზრუნველყოფილი იქნას კონსტრუქციული მდგრადობა

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.